

ლილე ჭელიძე

ინგლისურენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო

პროგრამა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

საერთაშორისო გარემოში სწავლა ჩემთვის ყოველთვის დაკავშირებულია ახალ გამოცდილებასთან, გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან, რომლებიც საშუალებას მაძლევს, როგორც აკადემიურად, ისე პიროვნულად განვვითარდე. სწორედ ამიტომ, მას შემდეგ, რაც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში კიდევ ერთხელ მომეცა საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა, გადავწყვიტე, ეს შანსი გამომეყენებინა და ამჯერად სრულიად განსხვავებული გარემო, ცხოვრების სტილი და კულტურა გამომეცადა.

კრაკოვი სწორედ იმიტომ ავირჩიე, რომ ვიცოდი, ეს გამოცდილება წინასგან განსხვავებული იქნებოდა. დღეს კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთი საუკეთესო იყო. კრაკოვში გატარებულმა პერიოდმა მომცა შესაძლებლობა, საერთაშორისო სტუდენტური ცხოვრება სხვა პერსპექტივიდან დამენახა და აღმომეჩინა, რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ერთი შეხედვით მსგავსი გამოცდილებაც კი.

კრაკოვში გატარებული პერიოდი ჩემთვის ახალი დასაწყისი აღმოჩნდა. განსხვავებულმა ქალაქმა, კულტურამ და გარემომ ბევრი რამ თავიდან აღმომაჩენინა და დამაფიქრა იმაზეც, თუ როგორ ვიცვლებოდი თავად ამ პროცესში.

ვფიქრობ, საკუთარ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ნაცნობია, საკუთარი თავის ამ ფორმით აღმოჩენა თითქმის შეუძლებელია. უცხო გარემოში კი კომფორტის ზონიდან გამოსვლა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება საშუალებას გაძლევს, საკუთარ შესაძლებლობებსა და საკუთარ თავზე ბევრი ახალი რამ აღმოაჩინო.

კრაკოვში გატარებულმა პერიოდმა ძალიან ბევრი ახალი ადამიანი და გამოცდილება შემძინა. უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ ყოველდღიურად ვხვდებოდი სტუდენტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რაც Erasmus+ ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი იყო. ერთად გატარებულმა დრომ, ESN-ის ღონისძიებებმა და მოგზაურობებმა ბევრი დაუვიწყარი მოგონება დამიტოვა. განსაკუთრებით საინტერესო იყო იმის აღმოჩენა, რომ სრულიად განსხვავებული კულტურისა და შეხედულებების მქონე ადამიანებთან ძალიან მარტივად შეიძლება საერთო ენის პოვნა, მეგობრობის შექმნა და ერთმანეთისგან სწავლა.

სწავლის პროცესიც ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტში საინტერესო ლექციებმა და პროფესორების განსხვავებულმა მიდგომებმა ახალი ცოდნის მიღებისა და ჩემი პროფესიული ინტერესების კიდევ უფრო გაღრმავების შესაძლებლობა მომცა. განსაკუთრებით საინტერესო იყო სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან

ერთად სწავლა. ძალიან მომწონდა პოლონელი სტუდენტების მონდომება, ცოდნა და სწავლისადმი დამოკიდებულება, რაც მეც უფრო მეტად მოტივირებულს მხდიდა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტსა და Erasmus+ პროგრამას იმისთვის, რომ მომეცა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ დამეტოვებინა ნაცნობი გარემო და ახალი სამყარო აღმომეჩინა. კრაკოვში გატარებულ პერიოდს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ექნება ჩემს ცხოვრებასა და მომავალში.